## სსრ კავშირის თასზე

განვლილ კვირას შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

თბილისის `დინამო" სტალინოში შეხვდა ადგილობრივ `შახტიორს". ანგარიში გახსნა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კალოევმა, მაგრამ მასპინძლებმა ტაიმის დასასრულამდე გაქვითეს გოლი _ 1:1. მეორე ტაიმში დინამოელები კვლავ დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა მესხმა) და `შახტიორის" ფეხბურთელებმა ამ მძიმე მომენტში კვლავ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:2. თბილისის `დინამო" გამოითიშა თასის გათამაშებიდან.

**ლელო 10 ოქტომბერი, 1961 წ.**